



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 14 სექტემბერი

**დისციპლინური საქმე №83/20
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

---, --- და --- 2020 წლის 04 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 აგვისტოს №491/83-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. იმავე წერილით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორების მიერ მითითებული გარემოებები:

1.1. საჩივრის ავტორების განცხადებით, მათ 2020 წლის 27 მაისს სარჩელით და ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით დროებითი განკარგულების გამოცემის შუამდგომლობით მიმართა --- რაიონულ სასამართლოს. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---. მოსამართლემ არასწორად შეაფასა საქმის მასალები, არ ჩართო საქმეში ფსიქოლოგი და მიიღო თვითნებური, უკანონო განჩინება, რომლითაც უარი უთხრა სარჩელის ავტორებს დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

1.2. მოსამართლემ დაარღვია შუამდგომლობის განხილვის კანონით დადგენილი ვადები და ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ შუამდგომლობის განხილვას მოანდომა თვენახევარზე მეტი დრო. გარდა ამისა, მხარემ საქმეში სხვა სოციალური მუშაკის ჩართვის შუამდგომლობითაც მიმართა სასამართლოს, თუმცა, ამ შუამდგომლობაზე მოსამართლეს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსამართლე არღვევს მხარის ინტერესებს და აყენებს მას როგორც მორალურ, ისე მატერიალურ ზიანს.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 27 მაისს --- მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების (თვეში --- ლარი) და მცირეწლოვანი შვილის ადგილსამყოფელის განსაზღვრის მოთხოვნით მიმართა --- რაიონულ სასამართლოს. სარჩელი ასევე შეიცავდა შუამდგომლობას დროებითი განკარგულების (ბავშვის ადგილსამყოფელის დროებით განსაზღვრის შესახებ) გამოცემის თაობაზე. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---.

2020 წლის 01 ივნისის განჩინებით -- -- არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლის დანიშვნა და დავის საგანთან მიმართებით შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა დაევალა.

მოპასუხეს სარჩელის ასლი გაეგზავნა 2020 წლის 02 ივნისს (ჩაბარების სავარაუდო თარიღი 2020 წლის 04 ივნისი).

2020 წლის 23 ივნისს სარჩელის ავტორის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და 2020 წლის 27 მაისის სარჩელში დაყენებული შუამდგომლობის დაუყოვნებლივ განხილვა მოითხოვა.

2020 წლის 02 ივლისს მოსარჩელის წარმომადგენელმა კიდევ ერთი განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოსამართლე -- -- აცილება, მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში შესაგებელის წარუდგენლობის გამო საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება, 2020 წლის 27 მაისის დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ შუამდგომლობის განხილვა და დასკვნის შედგენაზე პასუხისმგებელი სოციალური მუშაკის ჩანაცვლება მოითხოვა. განცხადების ავტორის მტკიცებით, სოციალური მუშაკი, რომელიც პასუხისმგებელი იყო შესაბამისი დასკვნის შედგენაზე, აჭიანურებდა დასკვნის შედგენას და იჩენდა აშკარა მიკერძოებულობას.

2020 წლის 07 -- -- სასამართლოში წარადგინა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, რეკომენდირებული იყო, ბავშვის აღზრდაში მონაწილეობა მიეღო ორივე მშობელს.

2020 წლის 07 ივლისის განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა დროებითი განკარგულების მიღების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

2020 წლის 07 ივლისის განჩინებით მოსამართლემ დაადგინა, რომ საქმეში უნდა ჩართულიყო ფსიქოლოგი. შესაბამისი ფსიქოლოგის საქმეში ჩაბმის უზრუნველყოფა -- -- დაევალა.

2020 წლის 02 ივლისს მოსარჩელის წარმომადგენელმა შუამდგომლობებით განმეორებით მიმართა სასამართლოს და 2020 წლის 27 მაისის დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ შუამდგომლობის განხილვა და დასკვნის შედგენაზე პასუხისმგებელი სოციალური მუშაკის სასამართლო სხდომაზე დაკითხვა მოითხოვა.

2020 წლის 14 ივლისის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა 2020 წლის 04 აგვისტოს დაინიშნა.

2020 წლის 14 ივლისს -- -- წარმომადგენელმა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების საქმეში ჩართვის მოითხოვნით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს (მოპასუხის მშობლის უფლების შეზღუდვა, მოსარჩელის ქვეყანაში დაბრუნებამდე, არასრულწლოვანი ბავშვის მეურვეებად მოსარჩელის მშობლების დანიშვნა და არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა).

2020 წლის 20 ივლისის განჩინებით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირებს -- -- და -- -- უარი ეთქვათ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის სარჩელის მიღებაზე. აღნიშნული განჩინება 2020 წლის 04 აგვისტოს კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- --.

2020 წლის 03 აგვისტოს მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი.

2020 წლის 04 აგვისტოს სარჩელის ავტორმა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების, საქმეში ფსიქოლოგის ჩართვის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან შესაბამის ინფორმაციის გამომთხოვის, სასამართლო სხდომაზე მოწმეების დაკითხვის, საქმეში მესამე პირებად -- -- მშობლების

ჩართვის და ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრის მიზნით დროებითი განკარგულების გამოტანის შესახებ განმეორებით შუამდგომლობებით მიმართა სასამართლოს.

საქმეზე პირველი მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2020 წლის 04 აგვისტოს. სხდომაზე მოპასუხის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, საქმის განხილვა გადაიდო 2020 წლის 18 აგვისტოს.

2020 წლის 11 აგვისტოს მოსარჩელის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და იმ მიზეზით, რომ მოპასუხის მიერ შესაგებელი წარმოდგენილი იყო კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, მოითხოვა შესაგებელის დაუშვებლად ცნობა და მისი განუხილველად დატოვება. -- -- ასევე განმეორებით დააყენა შუამდგომლობები საკუთარი მშობლების საქმეში თანამოსარჩელეებად ჩართვის, სასამართლო სხდომაზე მოწმეების დაკითხვის და ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრის მიზნით დროებითი განკარგულების გამოტანის შესახებ.

2020 წლის 12 აგვისტოს განჩინებით სარჩელის ავტორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მოპასუხე -- -- შესაგებელი -- -- სარჩელთან დაკავშირებით დარჩა განუხილველი.

2020 წლის 12 აგვისტოს განჩინებით დროებითი განკარგულების გამოცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, -- -- შესაბამისი დასკვნის მომზადება და სასამართლოსათვის 2020 წლის 18 აგვისტომდე წარდგენა დაევალა.

-- -- შესაბამის დასკვნა სასამართლოს 2020 წლის 17 აგვისტოს წარუდგინა.

2020 წლის 18 აგვისტოს საქმეზე მეორე მოსამზადებელი სხდომა გაიმართა. სხდომაზე მოსამართლემ საოქმო განჩინებით უარი უთხრა სარჩელის ავტორს მოსამართლის აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

2020 წლის 18 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელეს ასევე უარი ეთქვა დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

წინამდებარე გადაწყვეტილების მომზადების დროისათვის საქმის განხილვა -- რაიონულ სასამართლოში დასრულებული არ არის.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე -- არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 284-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით.“

სსსკ-ის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს დროებითი განკარგულება და მოაწესრიგოს „შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები.“

სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“ იმავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოსთვის არანაირ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ მოსამართლე მხოლოდ „შინაგანი რწმენით“ აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის „შინაგან რწმენას“, ასახავს გადაწყვეტილებაში/განჩინებაში.

შესაბამისად, მოსამართლე უფლებამოსილი იყო 2020 წლის 18 აგვისტოს განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის ავტორისათვის დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და ის მოქმედებდა კანონის მოთხოვნების სრული დაცვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

1. -- --, -- -- და -- -- 2020 წლის 04 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.
2. გაგრძელდეს №83/20 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი